ოქმი:**ო03.37220891**

თარიღი:**30/03/2022**

ოქმი № 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2022 წელი, 28 მარტი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ე. გორდელაძე, ბ. თოიძე, მ. ვაშალომიძე, ტ. აროშიძე, ლ. ბიგვავა, ქ.ხომერიკი, რ.დუმბაძე, დ.მჟავანაძე, გ. შარაშენიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის პროექტში შეტანილი ცვლილებები, შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრმა რ. დუმბაძემ გამოთქვა აზრი, რომ შ.შ.მ პირებს კარგი იქნება თუ მუნიციპალიტეტი დახმარებას გაუწევს 18 წლის შემდეგაც, განუმარტეს, რომ ასეთი დახმარება გათვალისწინებულია.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი დადგენილების პროექტი- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ წარდგენილ იქნას

საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი